თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს
ა. კ.-ს
მოსარჩელის **ა.ლ.-ს** სარჩელთან დაკავშირებით
საქმე №2/8395-17

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად

ქალბატონო ასმათ,

2017 წლის 3 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს ააიპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) იურისტმა ქეთევან ბახტაძემ მომართა განცხადებით რომლითაც ითხოვდა სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენას. განცხადების თანახმად, ქეთევან ბახტაძე იცავს ა. ლ.- ს (შემდგომში მოსარჩელე) ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავასთან დაკავშირებით. სარჩელის თანახმად, მომსახურების მიღებისას მოსარჩელე დაექვემდებარა სექსუალური ორენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას. საქმეზე მოპასუხე მხარეებს წარმოადგენენ: შპს „---", შპს „---" და შპს „---", ხოლო დავის საგანი არის თითოეული მოპასუხის მხრიდან დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა, მისი შედეგების აღმოფხვრა და მათთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

სახალხო დამცველს პატივი აქვს აღნიშნულ საქმეზე წარადგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება **(Amicus Curiae).** სექსუალური ორიენტაციის გამო საქონლისა და მომსახურების მიღებისას ლგბტ+ თემის წარომომადგენლის შესაძლო დისკრიმინაცია წარმოადგენს თანასწორობისათვის ბრძოლის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას. წინამდებარე დოკუმენტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, სახალხო დამცველი წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების მიღებისას დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის ტესტს, ასევე ყურადღებას გაამახვილებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხზე.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

სარჩელის თანახმად, ა. ლ. ხშირად სტუმრობდა ქ. თბილისში მდებარე კარაოკე ბარებს: „---", „---" და „---". 2017 წლის 31 იანვარს მოსარჩელე ეწვია კარაოკე ბარს „---". დაცვის

თანამშრომელმა მას განუცხადა, რომ დაწესებულების მეპატრონის მოთხოვნით მოსარჩელე „შავ სიაში“ იმყოფებოდა და მას ბარში შესვლა ეკრძალებოდა. 2017 წლის 15 მარტს მოსარჩელე ეწვია კარაოკე ბარს „---“, სადაც დაცვის თანამშრომელმა ასევე განუმარტა, რომ „შავ სიაში“ ყოფნის გამო დაწესებულებაში აღარ შეუშვებენ. ამასთან, აღნიშნულმა პირმა მოსარჩელეს განუცხადა, რომ მას ასევე ეკრძალებოდა კარაოკე ბარ „---“ სერვისით სარგებლობა. სარჩელში აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნული დაწესებულებების ადმინისტრაციამ შეიტყო მოსარჩელის სექსუალური ორიენტაციის შესახებ, რაც საფუძვლად დაედო მის ე.წ. „შავ სიაში“ მოხვედრას. აღნიშნულს ამყარებს ის გარემოებაც, რომ სამივე დაწესებულების დირექტორი ერთი და იგივე პიროვნებაა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის „შავ სიაში“ მოხვედრის შესახებ შეიტყვეს მისმა მეგობრებმა და გავრცელდა ჭორები, თითქოს მოსარჩელე ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობდა. სარჩელში, ასევე მითითებულია, რომ მოსარჩელემ რამდენჯერმე სცადა დაწესებულების ადმინისტრაციასთან დაკავშირება, რათა შეეტყო „შავ სიაში“ მოხვედრის მიზეზი, თუმცა მისი ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

სამივე მოპასუხის შესაგებლის თანახმად, დაწესებულებების შინაგანაწესის დარღვევის გამო მათ მიერ მოსარჩელეს დაეკისრა დისციპლინური სახდელი და ერთი წლის ვადით აეკრძალა კერძო საკუთრების ტერიტორიაზე დაშვება, ვინაიდან იგი არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და სხვა პირთა უფლებებს, ასევე უხეშად ერეოდა სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის თანამშრომლის პირად ცხოვრებაში და დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას ხელს უშლიდა. სამივე შესაგებელში განმარტებულია, რომ დაწესებულებაში მომსახურებას ღებულობენ სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

2. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად: *„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში."*

საკითხის მაღალი მგრძნობელობის გათვალისწინებით და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველი სასამართლოსთვის წარედგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

3. სამართლებრივი შეფასება

თანასწორობის უფლება დაცულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“[1] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, *„საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს“.*[2]

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ,,კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს პირიქით“.[3]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის[4] მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული, თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა. *ამავე დროს, კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საერთო აკრძალვას და დისკრიმინაციისგან იცავს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებას.*

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 1

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N 2/1-393 II, 2

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება N 2/1/473, II, 2

[4]ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მიღებულია: 1950 წლის 4 ნოემბერი, ძალაშია: 1953 წლის 3 სექტემბერი, საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის რეგულირების ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული***

გამართლება, ე.ი. *არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.*[5]

3.1. მტკიცების ტვირთის გადანაწილება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი განსხვავდება სხვა ტიპის სამართალწარმოების დროს გამოსაყენებელი წესისგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 ტერცია კარი განსაზღვრავს ნორმებს, რომლითაც სასამართლომ დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შეფასებისას უნდა იხელმძღვანელოს. უშუალოდ დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ მსჯელობამდე, მნიშვნელოვანია, სასამართლომ სწორად გადაწყვიტოს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი, რათა გარანტირებული იყოს სავარაუდო დისკრიმინაციული ფაქტის სწორი შეფასება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლის მიხედვით, პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. *დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი* არ გულისხმობს მხარისთვის ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის იმ მოცულობით დავალდებულებას, რაც საჭიროა შემდგომ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი ვარაუდის წარმოსაშობად მნიშვნელოვანია მხარემ წარმოადგინოს იმ ფაქტებისა და მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს და ობიექტური დამკვირვებლისთვის წარმოშობს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ვარაუდს რაიმე ნიშნით.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“ ნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სასამართლოს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური

[5] *Eweida and others v. United Kingdom*, application nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, (ECtHR, 15/01/2013), §§ 87-88; *Burden v. United Kingdom*, application no: 13378/05, (ECtHR, 29/04/2008), § 60;

მიზანი, რომელიც წარმოადგენს განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.[6]

განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ გარემოებებზე, რომლის მიხედვითაც იკვეთება, რომ მას შეეზღუდა კარაოკე ბარებში „---", „---" და „---" სერვისით სარგებლობის უფლება. უფლებით სარგებლობაში შეზღუდვას კი საფუძვლად დაედო მისი სექსუალური ორიენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საკმარისად მიიჩნევს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოეშობა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხე მხარეზე გადავა იმის მტკიცების ტვირთი, რომ სერვისით სარგებლობისას განსხვავებულ მოპყრობას აქვს ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც ექნება ობიექტური და გონივრული დასაბუთება.

3.2. კანონით გათვალისწინებული უფლება

როგორც აღვნიშნეთ, დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შეფასებისას, თავდაპირველად საჭიროა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას შესაძლოა პირს ხელი შეშლოდა. მსჯელობის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დადგინდეს უფლების შეზღუდვის და არა მისი დარღვევის ფაქტი.

საქართველოს კანონმდებლობით, **საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლება** პირდაპირ არ არის გათვალისწინებული და იგი საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში მოიაზრება

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი არ მოიცავს პირადი ცხოვრების უფლების ყველა ასპექტს.... ოჯახურ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი საგანგებოდ ითვალისწინებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.[7]

კონსტიტუციის მითითებული მუხლი განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების მთავარ მონაპოვარს, რომ ადამიანის პიროვნულობა უზენაესი ღირებულებაა. პიროვნულობა განსაზღვრავს ინდივიდის არსს, ადამიანის პიროვნება მუდმივად იზრდება და ვითარდება, შესაბამისად საკუთარი პიროვნების განვითარებისთვის მას სჭირდება თავისუფლება.

---

[6] მტკიცების ტვირთის გამოყენების შესახებ იხილეთ სახალხო დამცველის რეკომენდაცია http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3877.pdf გვ. 6-10

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება, N1/2/458, II, 21

ინდივიდს სახელმწიფომ უნდა მისცეს ქცევის თავისუფლება.[8] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, თავისი არსით, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების ფუნდამენტურ გარანტიას, რომელიც იცავს ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების საკუთარივე შეხედულებისამებრ წარმართვის თავისუფლებას.[9]

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რაც პირველ რიგში გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე.[10] საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას. პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას, ადამიანთა გარკვეულ წრესთან პერსონალურ კავშირებს იმ ინტენსივობით, რაც აუცილებელია მისი პიროვნული სრულყოფისათვის.[11] ამავდროულად, მე-16 მუხლი მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროს, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებასა და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას.[12]

ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი პროგრესი, თითოეული ადამიანის პიროვნული ბედნიერება. ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფს მისი ნიჭის, პიროვნული შესაძლებლობებისა და უნარის განვითარებას და, ამ თვალსაზრისით, იგი ადამიანის ღირსების უფლების განუყოფელი ნაწილია. შესაძლებლობების განვითარებით, ცოდნის მიღებით, გარესამყაროსთან მისი ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება ადამიანი თავისუფალ პიროვნებად, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.[13]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა

---

[8]ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა თბილისი 2013 გვ 75

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/7/679 , II, 2

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536,II, § 54

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536 §55

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536 §56

[13] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,2013 წ, გვ. 88

სასამართლომ არაერთგზის მიუთითა, რომ ,,ძალზე შეზღუდული იქნებოდა [პირადი ცხოვრების] ცნების ,,შიდა წრით" შემოფარგვლა, რომელშიც ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სურვილისამებრ არჩეული თავისი ცხოვრება და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა, ასევე, უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.[14] პირადი ავტონომიისა და თვითრეალიზების უფლება ასევე მოიცავს ადამიანის უფლებას თავისი შეხედულებისამებრ წარსდგეს და წარმოჩინდეს საჯარო და საზოგადოებრივ ადგილებში.[15]

საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლებას ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივები. დირექტივა **2004/113/EC**[16] ხაზს უსვამს, რომ ის ვრცელდება ყველა პირზე, რომელიც არის საქონლისა და სერვისის მიმწოდებელი, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. **2000/43/EC**[17] დირექტივა ვრცელდება როგორც დასაქმების სფეროზე, ასევე, საქონელსა და მომსახურებაზე. ევროკავსირის წევრ სახელმწიფოებში ზემოაღნიშნული დირექტივების იმპლემენტაციის გზით მოხდა ანტი-დისკრიმინაციული ნორმების კერძო სფეროში გავრცელება. დირექტივები სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ ეფექტური კერძო სამართლებრივი დაცვის საშუალებები, როდესაც ადგილი აქვს ნებისმიერი სახის კერძო პირებს შორის დისკრიმინაციას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2008 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა **COM(2008)0426 – C6-0291/2008 2008/0140(CNS)** დირექტივა, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის ან რწმენის ნიშნით **სამსახურის გარეთ.** აღნიშნული დირექტივა უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას სოციალური უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საქონლისა და მომსახურების, მათ შორის, საცხოვრებლის სფეროებში და კრძალავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ დისკრიმინაციას, შევიწროვებას, ბრძანებას დისკრიმინაციაზე და გონივრულ მისადაგებაზე უარს.[18]

დიდი ბრიტანეთის 2010 წლის თანასწორობის აქტი (Equality Act 2010) კრძალავს დისკრიმინაციის გამოვლინების ყველა ფორმას. ამასთან, **29-ე მუხლი** განმარტავს, რომ მომსახურების მიმწოდებელმა არ უნდა განახორციელოს დისკრიმინაცია იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც სურს შეთავაზებული მომსახურებით სარგებლობა.[19]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის თანახამდ, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულების, ორგანიზაციების, ფიზიკური და

---

[14] ECtHR, *Niemietz v. Germany*, no. 13710/88, 16/12/1992, § 29
[15] ECtHR, S.A.S. v. France, no. 43835/11, 01/07/2014, § 139
[16] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2004:373:0037:0043:en:PDF
[17] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000L0043:en:HTML
[18] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52009AP0211
[19] https://www.legislation.gov.uk/ukpga/2010/15/contents

იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში. აღნიშნული დანაწესი ასევე მოიაზრებს მომსახურბის სფეროს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად *იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით,* დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ უკრძალავს სერვისის მიმწოდებელს დაუსაბუთებელი უარის თქმას საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზებისას.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს არ მიეცა საშუალება თავისი შეხედულებისამებრ მოეხდინა თვითრეალიზება და მისი სექსუალური ორიენტაციის შესაბამისად, საზოგადოების სრულწლოვანი წევრებისათვის ხელმისაწვდომი სერვისით ესარგებლა. ამდენად, მოსარჩელეს შესაძლოა უკანონოდ შეზღუდვოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უფლებები.

3.3. შესადარებელი სუბიექტი (კომპარატორი) და თანაბარი მოპყრობა

იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, ასევე უნდა განისაზღვროს მოხდა თუ არა, მოსარჩელის სერვისით სარგებლობის უფლების შეზღუდვის დროს, განსხვავებული მოპყრობა მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებთან შედარებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მე-14 მუხლის მიზანია, უზრუნველყოს თანასწორობა კანონის წინაშე, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ ან პირიქით.[20] ამდენად, სასამართლომ პირველ რიგში უნდა დაადგინოს მოსარჩელე და საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლების მოსარგებლე ჰეტერესექუალი პირები წარმოადგენენ თუ არა არსებითად თანასწორებს - ანუ არიან თუ არა შედარებადი კატეგორიები, ხვდებიან თუ არა ანალოგიურ გარემოებებში.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე წარმოადგენს საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლებით მოსარგებლე ჰეტერესექსუალი პირების თანასწორ სუბიექტს, რადგან მას სურდა კარაოკე ბარების „---", „---" და „---" სერვისით სარგებლობის მიღება, რაც მას სავარაუდოდ მისი სექსუალური ორიენტაციის გამო შეუზღუდეს.

შესაბამისად, მოსარჩელე საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლებით მოსარგებლე ჰეტერესექუალი პირების ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირს წარმოადგენს.

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N 2/1-393, II, 2

3.4. არათანაბარი მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი და პროპორციულობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, არათანაბარი მოპყრობა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ ის ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება და გამოყენებული საშუალება თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია, რომ კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაციით შესაძლებელი იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, ანუ რეგულაცია რეალურად უნდა იყოს ორიენტირებული ლეგიტიმური მიზნის დაცვასა და უზრუნველყოფაზე. უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, ნამდვილად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების, ინტერესების უზრუნველყოფა.[21] დისკრიმინაციის გამოვლენის ტესტის შემდგომ ეტაპზე სასამართლო აანალიზებს, წარმოადგენს თუ არა უფლებაში ჩარევის ეს გზა უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებას და შესაძლებელი იყო თუ არა იმავე მიზნების მიღწევა უფლებაში ნაკლებად ინტენსიური ჩარევის გზით.[22]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.[23] დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არც ერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე.[24] საკონსტიტუციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს.[25]

აქედან გამომდინარე, განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, მას აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის თანაზომიერია.

მოპასუხე შესაგებელში განმარტავს, რომ მოსარჩელეს შინაგანაწესის დარღვევის გამო, დაეკისრა დისციპლინური სახდელი ერთი წლის ვადით, ვინაიდან იგი არღვევდა

---

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 26

[23] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოდ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება N3/1/512, II, 60

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 27

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II-3

საზოგადოებრივ წესრიგს და სხვა პირთა უფლებებს, ასევე უხეშად ერეოდა სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის თანამშრომლის პირად ცხოვრებაში და დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას უშლიდა ხელს.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ შესაძლოა საქმისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდეს იმის შეფასება, შეატყობინა თუ არა სერვისის მიმწოდებელმა მოსარჩელეს მის მიერ ერთი წლით სერვისით სარგებლობის აკრძალვის თაობაზე და განუმარტა თუ არა დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი.

ამასთან, მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს პროპორციულობის ტესტზე და შეაფასოს მოპასუხეების - სერვისის მიმწოდებლების მომსახურების გაწევაზე უარი რას ისახავდა მიზნად, მოსარჩელის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას თუ სხვა ობიექტურ გარემოებას, რომელიც განსხვავებულ მოპყრობას გაამართლებდა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ ყველა ფაქტობრივი გარემოების მხედველობაში მიღებით საქმის განმხილველ მოსამართლეს წარმოეშობა ვარაუდი, რომ მოსარჩელის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოპასუხეებზე უნდა გადავიდეს.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობისას მნიშვნელოვანია, ადამიანის სექსუალურმა ორიენტაციამ არ გამოიწვიოს მის წინააღმდეგ მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღება, სერვისის მიმწოდებლებს არ ჰქონდეთ წინასწარ შექმნილი ჰომოფობიური განწყობები და სერვისით სარგებლობის თაობაზე გადაწყვეტილებები არ დააფუძნონ პირის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას. აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, მიზანშეწონილია გაითვალისწინოს, რომ ლგბტ+ თემი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია, რომლის წევრებიც დისკრიმინაციას საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აწყდებიან.[26]

4. დასკვნა

განხილული სამართლებრივი სტანდარტებიდან გამომდინარე,

- მოსარჩელემ უნდა წარმოშვას ვარაუდი, რომ საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლება მას შეეზღუდა სექსუალური ორიენტაციის მოტივით; ამ შემთხვევაში მოსამართლემ მოსარჩელე უნდა შეადაროს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე

[26] სახალხო დამცველის პრაქტიკის თანახმად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ლგბტ თემის წარმომადგენლები დისკრიმინაციას მომსახურების მიღებისას აწყდებიან; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2017 წელი, გვ. 26

ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლებით მოსარგებლე ჰეტეროსექსუალ პირებს;

- მოპასუხეებმა უნდა ამტკიცონ, რომ მოსარჩელის სერვისის მიღებაზე უარის თქმის მიზეზი იყო არა მისი სექსუალური ორიენტაცია, არამედ სხვა ობიექტური გარემოება. ამ შემთხვევაშიც, სასამართლომ მოპასუხეებს უნდა დააკისროს იმის მტკიცების ტვირთი, რომ ისინი კანონიერი მიზნის მისაღწევად მოქმედებდნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტით მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

პატივისცემით,